2-482/20'
21-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

აგრარულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული საქართველოს მშენებლობისთვის“ (07-2/7/10; 18.12.2020) ნდობის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა 2020 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული საქართველოს მშენებლობისთვის“ (07-2/7/10; 18.12.2020) ნდობის გამოცხადების საკითხი.

კომიტეტი გაეცნო საქართველოს მთავრობის წევრობის კანდიდატების შესახებ მონაცემებს და მოისმინა ინფორმაცია წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამის თაობაზე.

კომიტეტმა, კენჭისყრაში მონაწილე წევრთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით (სხდომას ესწრებოდა კომიტეტის 9 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 9 წევრმა, მხარი დაუჭირა 9-ვე წევრმა), ნდობა გამოუცხადა საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნინო წილოსანი

2-594/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი: საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დასკვნა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოცხადებისთვის წარდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და თანდართული სამთავრობო პროგრამის 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ თაობაზე (N07-2/7; 18.12.2020)

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, 2020 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოცხადებისთვის წარდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და თანდართული სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

კომიტეტი გაეცნო საქართველოს მთავრობის წევრობის კანდიდატების ბიოგრაფიულ ცნობებს და მოისმინა ინფორმაცია წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამის მიზნებისა და ძირითადი მიმართულებების თაობაზე.

აღნიშნული სამთავრობო პროგრამის ძირითადი მიზანია პანდემიით შექმნილი კრიზისის დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და განვითარება, თითოეული მოქალაქისათვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

პარალელურად, ქვეყანა გააგრძელებს დემოკრატიის კონსოლიდაციისკენ ნაბიჯების გადადგმას და საგარეო ასპარეზზე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვას. შემდგომი წლების ძირითადი ამოცანა იქნება ქვეყნის ინსტიტუციური, ეკონომიკური და სოციალური მომზადება 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისთვის განაცხადის გაკეთებისთვის. შესაბამისად, 2021 – 2024 წლებში საქართველოს

მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება შემდეგ ოთხ საკვანძო მიმართულებაზე: საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები; ეკონომიკური განვითარება; სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება; სახელმწიფო მმართველობა.

1. საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები

საგარეო პოლიტიკა

საქართველოსთვის პირველი რიგის ამოცანა საერთაშორისო არენაზე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხის მაღალ დონეზე შენარჩუნება და გაძლიერებაა. ამავე დროს, პრიორიტეტულია აქტიური საქმიანობის წარმართვა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, ასევე მუშაობა, ევროკავშირის შუამავლობით, 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების მიზნით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა. პროაქტიურად წარიმართება მუშაობა ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შემავალ პირებზე, სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემზღუდავი ზომების დაწესებისთვის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.

გარდა ამისა, საგარეო პოლიტიკის კუთხით პრიორიტეტული მიმართულებები ფარავს - საქართველოს ევროკავშირში სრულფასოვან ინტეგრაციას და ამ გზაზე ყველა არსებული შესაძლებლობის ძიებას/გამოყენებას მთავარი მიზნის – 2024 წლისათვის ევროკავშირში წევრობის ოფიციალური განაცხადის მომზადებისა და შემდგომში კავშირში გაწევრიანებისათვის; ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება; ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან – აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი პარტნიორობის სტრატეგიულ დონეზე აყვანა და გაძლიერება; რეგიონში დაბალანსებული და ურთიერთსასარგებლო პარტნიორულ თანამშრომლობაზე დამყარებული პოლიტიკის გატარება; აზიის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის რეგიონებში ქვეყნის პოლიტიკური ხილვადობის კიდევ უფრო გაზრდა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვა.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის განსაკუთრებულ ასპექტს შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილება ქმნის. საქართველო პოზიციონირებს როგორც ალიანსის სანდო პარტნიორი მის აღმოსავლეთ ფლანგზე და მზად არის, ამ მიმართულებით საკუთარი წვლილი შეიტანოს. სწორედ აღნიშნული მიდგომის დასტურია ის გეგმა, რომელიც შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში ქვეყნის სტრატეგიული ხედვის შემუშავებას გულისხმობს. შესაბამისად, განხორციელდება შავი ზღვის უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის ინიციირება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება

სამთავრობო პროგრამის თანახმად, პრიორიტეტულია ტოტალური თავდაცვის ელემენტების შემდგომი დანერგვა და მისი სამხედრო კომპონენტის განვითარება, ისევე როგორც ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა. ხსენებული პროგრამა მიუთითებს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს მდგრადი საბრძოლო მზადყოფნისა და ტერიტორიული თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით თანამშრომლობის გაძლიერებაზე, მათ შორის საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) გზით. გარდა ამისა, 2024 წლისთვის საბრძოლო მოდელირებისა და სიმულაციის შესაძლებლობები გაძლიერებული იქნება ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის (JTEC) ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბდება ნატოსთან აფილირებულ წვრთნისა და შეფასების ოპერატიულ ცენტრად და დაკომპლექტდება როგორც ქართველი, ასევე ნატოსა და მისი პარტნიორების შემადგენლობით, ხოლო მისი მიზანი იქნება პერსონალისა და ქვედანაყოფების გაწვრთნა ნატოს შესაბამისი უმაღლესი ხარისხის პროგრამებით. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრო განახორციელებს საერთო საჯარისო ცენტრის რეფორმას, გვარეობების გამოცდილების გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, მნიშვნელოვან პრიორიტეტად განისაზღვრება თავდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ლოგისტიკის მართვის სისტემის დეცენტრალიზაცია. გაგრძელდება როგორც სამხედრო-სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება, ისე თავდაცვის ძალების, თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სამედიცინო მომსახურების/რეაბილიტაციის ეფექტიანობის ამაღლება და დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებები. მოსამსახურეებისთვის გაგრძელდება ბინათმშენებლობის თანადაფინანსება და სხვა სოციალური პროექტები. საანგარიშო პერიოდში სამხედრო რეზერვის ძირითად სახეებად განისაზღვრება აქტიური და სამობილიზაციო რეზერვი. დამატებით, განხორციელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) განსაზღვრული ინიციატივები და საქართველოს მიერ ევროპულ თავდაცვის სააგენტოსთან (EDA) თანამშრომლობის დაწყების შესახებ ფორმალური განაცხადი გაკეთდება.

უსაფრთხოება და მართლწესრიგის დაცვა

წარმოდგენილი პროგრამის თანახმად, პრიორიტეტულია საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი. ამ სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, გაგრძელდება კრიმინალური პოლიციის რეფორმა და საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერება/გამოძიების ხარისხის გაზრდა, რაც საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნასა და გამოძიების ხარისხის ზრდაში გარდაიქმნება. ამავე დროს, მთელი ქვეყნის მასშტაბით გაგრძელდება არასრულწლოვანზე მორგებული ინფრასტრუქტურის დანერგვა, გამომძიებელთა სპეციალიზაცია და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება.

მთავრობის გეგმაშია სასაზღვრო და საპატრულო პოლიციის რეფორმის გაგრძელება, მათ შორის, მთელი ქვეყნის მასშტაბით საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის კონცეფციის დანერგვის გზით. სამინისტროს პრიორიტეტად დარჩება აქტიური ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულსა და ნარკოდანაშაულთან. კვალიფიციური კადრების მოზიდვის, ასევე, არსებული კადრების მოტივაციის ამაღლების მიზნით, ჩამოყალიბდება ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი სისტემა. ამასთანავე, მთავრობის პრიორიტეტები მოიცავს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას საგანგებო სიტუაციების მართვის, საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლების სფეროებში, აგრეთვე, ახალი საპოლიციო პროდუქტების შექმნას. ასევე, სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ დაინერგება დისტანციური სერვისები. სამთავრობო პროგრამის თანახმად, გაგრძელდება პოლიციის შენობების, დროებითი მოთავსების იზოლატორების განახლება/რეაბილიტაცია და ახალი ობიექტების მშენებლობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მათი უზრუნველყოფა, აგრეთვე მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერება. სამთავრობო პროგრამა მიუთითებს, რომ მთავრობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერებას და მხარს დაუჭერს მისი შემდგომი განვითარების მიზნით დაგეგმილ რეფორმებს.

პენიტენციური სისტემა

სამთავრობო პროგრამის შესაბამისად, პენიტენციური სისტემის მიმართულებით, სხვებს შორის, შეიქმნება საოჯახო ტიპის პენიტენციური დაწესებულებები, სადაც ერთი და იგივე სასწავლო ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე რამდენიმე არასრულწლოვანი თავსდება და ოჯახურ გარემოში ცხოვრობს გათავისუფლებამდე, ასევე 2020 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, დაინერგება გათავისუფლებისთვის მომზადების პოლიტიკა, გაძლიერდება მუშაობა რთული ქცევის მქონე და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან. ასევე, დაგეგმილია №18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიული განყოფილებისათვის სრულიად ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სასეირნო სივრცით. პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში კვლავ გაძლიერდება რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამები.

ადამიანის უფლებების დაცვა

წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამა მიუთითებს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მთავარ ორიენტირებზე. სახელდობრ, გაგრძელდება კოორდინირებული მუშაობა ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, მათ შორის, ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და ეფექტიანი რეაგირების, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს პრაქტიკაში ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით. ტრანსსასაზღვრო საქმეებში ბავშვთა რჩენის ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფად გაგრძელდება მუშაობა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარების თაობაზე.

აგრეთვე, განხორციელდება კოორდინირებული და ქმედითი ღონისძიებები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულებისათვის. მთავრობის პრიორიტეტები ფარავს ხანდაზმული ადამიანების ეკონომიკურ მხარდაჭერასა და ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფას, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფილი იმპლემენტაციის მიზნით საქმიანობის განხორციელებას, შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების სფეროში საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის დახვეწას. სამთვრობო გეგმა, ამავე დროს, მიუთითებს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესებაზე, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვასა და სახელმწიფოს ენის ცოდნის ამაღლებაზე, თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის გაძლიერებაზე. პროგრამა აცხადებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სულისკვეთებით მიღებულ იქნება აღსრულების ახალი კოდექსი და დაიხვეწება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

2. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება

სამთავრობო პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულია ჯანმრთელობის უფლების დაცვა შესაბამისი ქმედებების განხორციელებით, მათ შორის, იქნება საქართველოს ყველა მოქალაქისათვის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალური მოცვა, მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება, ონკოლოგიური დაავადებების მართვა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული პრიორიტეტული სტაციონარული დაწესებულებების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა. ასევე, პირველადი ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდება ციფრული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის დანერგვის ღონისძიებები, გატარდება ერთიანი სატარიფო პოლიტიკა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება ფარმაცევტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, დაინერგება სამკურნალო საშუალებების შექმნის, სტანდარტიზაციის, ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის თანამედროვე მიდგომები. დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება სამედიცინო განათლების სისტემური რეფორმა.

წარმოდგენილი პროგრამის თანახმად, სოციალური დაცვის უფლების ჭრილში, სხვებს შორის დაგეგმილია სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიისა და საარსებო შემწეობის გაცემის წესის დახვეწა, ყველაზე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვების (მათ შორის, შშმ ბავშვები და ქუჩაში მცხოვრები ბავშვები) საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის სოციალური დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება და გაფართოება. აგრეთვე, გაგრძელდება დიდი ზომის პანსიონატების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ბავშვთა ოჯახურ გარემოში განთავსების უზრუნველსაყოფად, გაიზრდება ძალისხმევა ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვების დასაცავად, „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული ნორმების იმპლემენტაციისთვის.

გაგრძელდება დევნილთა საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ეფექტიანი პოლიტიკა. მომავალ 4 წელიწადში დაგეგმილია 13 000 დევნილი ოჯახისა და 1200 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

სამთავრობო პროგრამა მიუთითებს, რომ განათლებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ზრდა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. განათლების რეფორმა მოითხოვს სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას, რაც გულისხმობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდიდან უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებების ჩათვლით ერთიან მიდგომას, რათა რეფორმის შედეგი იყოს ეფექტიანი და ხელშესახები. შესაბამისად, საქართველოს განათლების რეფორმა არის ყოვლისმომცველი და მოიცავს განათლების სისტემის ყველა საფეხურს. გაუმჯობესება შეეხება განათლების სისტემის ბიუჯეტის ზრდას, განათლების ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესებას, სასწავლო სივრცეში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას, სასწავლო დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციისა და შრომითი უფლებების ამაღლებას, ინფრაქტრუქტურული პროექტების განხორციელებას. სხვებს შორის, აღნიშნულია, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით აქტიურად განვითარდება ინკლუზიური განათლების კომპონენტები, ფართო მასშტაბით დაინერგება ბილინგვური სწავლების განსხვავებული მოდელი არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებში, განისაზღვრება განათლების მიღმა დარჩენილი პირების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის პოლიტიკა და მათთვის უზრუნველყოფილი იქნება ალტერნატიული კურიკულუმი, ეტაპობრივად დაიხვეწება სწავლების დისტანციური და ჰიბრიდული მეთოდოლოგია.

3. სახელმწიფო მმართველობა

მთავრობის პრიორიტეტად რჩება საჯარო მმართველობის რეფორმის გაგრძელება, რომლის მთავარი მიზანია, სახელმწიფო მმართველობა გახდეს კიდევ უფრო ეფექტიანი და მუშაობის შედეგები ხელშესახები იყოს თითოეული მოქალაქისთვის. ამ მიზნით, სხვებს შორის, ყველა საჯარო დაწესებულებაში გაგრძელდება ადამიანური კაპიტალის განვითარება, დეცენტრალიზაციის დამტკიცებული პოლიტიკის წარმატებით განხორციელება და 2024 წლისთვის ევროპული სტანდარტების ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება, ასევე საჯარო სერვისების შექმნის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განფასების ერთიანი სტანდარტის შექმნა. დამატებით, სამთავრობო დღის წესრიგის ნაწილია ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაძლიერება და ელექტრონული მმართველობის განვითარება, საჯარო უწყებებში შიდა პროცესების გაციფროვნება, მომხმარებელზე ორიენტირებული და ხარისხიანი ელექტრონული სახელმწიფო სერვისების შეთავაზება. პროგრამის თანახმად, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გადაიხედება და დაიხვეწება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, დაიხვეწება საჯარო ფინანსების განაწილებისა და მართვის სისტემა, ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით კი, გააქტიურდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

კომიტეტმა მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამის ძირითადი მიმართულებების მიხედვით დასახული ამოცანების შესრულება ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების მიღწევას - პანდემიით შექმნილი კრიზისის დაძლევას, ეკონომიკის სწრაფ აღდგენა-განვითარებასა და თითოეული მოქალაქისათვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

იმავდროულად, კომიტეტმა, მოისმინა და დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის წევრობის კანდიდატების ხედვები სამთავრობო პროგრამის შესაბამისად მათი პრიორიტეტების, სამომავლო გეგმებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომიტეტმა ფარული კენჭისყრით, ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოცხადებისთვის წარდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ სარჯველაძე

2-556/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის დასკვნა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის 2021-2024 ,,ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (07-2/7; 18.12.2020) ნდობის გამოცხადების საკითხზე.

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა 2020 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა 2021-2024 ,,ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“. სამთავრობო პროგრამა კომიტეტს წარუდგინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრობის კანდიდატმა მიხეილ ჩხენკელმა.

წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამის მიხედვით განვითარებული ადამიანური კაპიტალი სწრაფი ეკონომიკური ზრდის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხარისხიანი განათლების სისტემის არსებობა, რაც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა კონკურენტუნარიანობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

განათლებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ზრდა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. განათლების რეფორმა მოითხოვს სისტემურ და თანმიმდევრულ მიდგომას, რაც გულისხმობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდიდან უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებების ჩათვლით ერთიან მიდგომას, რათა რეფორმის შედეგი იყოს ეფექტიანი და ხელშესახები. შესაბამისად, საქართველოს განათლების რეფორმა არის ყოვლისმომცველი და მოიცავს განათლების სისტემის ყველა საფეხურს.

ადრეული და სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლების მიმართულებით, შენარჩუნებული იქნება მნიშვნელოვანი მონაპოვარი და საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება კვლავაც იქნება უფასო. განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად.

გაგრძელდება შესაბამისი ღონისძიებები სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. ასევე ხელი შეეწყობა სკოლამდელ დაწესებულებებში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვას.

ზოგადი განათლება

მთავრობის პრიორიტეტი იქნება ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, სისტემის განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სისტემაში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა. ამ მიზნით, მომდევნო წლების განმავლობაში:

- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება;** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- შემუშავდება და დაინერგება **სკოლების მართვისა** და დაფინანსების დიფერენცირებული მოდელები. გაგრძელდება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული **ეროვნული სასწავლო გეგმებისა** და შესაბამისი სასწავლო რესურსების შექმნა და განვითარება. აქტიურად დაინერგება და განვითარდება **ინკლუზიური განათლების** კომპონენტები.

უმაღლესი განათლება

მომდევნო 4 წლის განმავლობაში, უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების მიზნით, დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება**;
- შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**. განხორციელდება **ხარისხის განვითარების** მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სადოქტორო **პროგრამების შეფასების** ერთიანი კონცეფცია;
- სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყობა უმაღლესი საგანმანათლებლო **პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის** მოპოვებას;
- გაგრძელდება პროგრამა – „ვისწავლოთ საქართველოში“;

გაიზრდება უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა ამ მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების მეშვეობით.

პროფესიული განათლება

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტად დარჩება პროფესიული განათლების განვითარება, როგორც შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ამ მიზნით, შემდგომი 4 წლის განმავლობაში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- გაიზრდება პროფესიული განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** ამოქმედდება პროფესიული განათლების დაფინანსების შედეგებზე დაფუძნებული მოდელი;
- შემუშავდება პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების 2021 და შემდგომი წლების **გრძელვადიანი სტრატეგია** და შესაბამისი სამოქმედო გეგმები;
- საჯარო-კერძო პარტნიორობით დაინერგება პროფესიული განათლების სისტემის მართვის ახალი მოდელი; **დარგობრივი გაერთიანებებისა და კერძო სექტორის** როლი იქნება გადამწყვეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისა და განხორციელების პროცესში;
- დამტკიცდება **პროფესიული განათლების მასწავლებლის** პროფესიული სტანდარტი და მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ახალი მოდელი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული **შრომის ანაზღაურების** ახალი მოდელი;

- გაიზრდება დუალური და ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების **პროგრამების** რაოდენობა. დაიწყება **არაფორმალური განათლების აღიარება** და გაფართოვდება აღიარების მასშტაბები.

მეცნიერება

შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

გათვალისწინებულია საინჟინრო, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური (STEM), ასევე ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური სამეცნიერო **საგრანტო კონკურსების დაფინანსების ზრდა**, ფუნდამენტური კვლევების მასშტაბის გაფართოება.

მომდევნო წლებში გაიზრდება მეცნიერების სახელმწიფო **დაფინანსება,** მეცნიერ-თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება და დაინერგება შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი.

კულტურა

„კულტურის სტრატეგია 2025-ის“ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, გაგრძელდება და გაფართოვდება კულტურის სფეროს განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები.

დაიხვეწება კულტურის სფეროს მარეგულირებელი, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური, არამატერიალური, ბუნებრივი მემკვიდრეობა) სფეროში არსებული **კანონმდებლობა.**

შეიქმნება კულტურის **მართვის** მოქნილი, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული მოდელი და დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმი.

კულტურის სფეროს მართვის მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება **ახალი კადრების მოზიდვა და რესურსების მობილიზება** პრიორიტეტული მიმართულებების სარეალიზაციოდ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა **სახელოვნებო განათლების** მიმართულებით სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური და სამეცნიერო რესურსის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებას.

გაგრძელდება **ევროპასთან ინტეგრაციის** პროცესი; განხორციელდება საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებები.

კომიტეტმა ფარული კენჭისყრით მხარი დაუჭირა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადებას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
თეა წულუკიანი

2-460/20'
21-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის „ევროპული საქართველოს მშენებლობისთვის“ ნდობის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტმა ა.წ. 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის „ევროპული საქართველოს მშენებლობისთვის“ ნდობის გამოცხადების საკითხი და მხარი დაუჭირა მას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მაია ბითაძე

2-477/20'
21-12-2020

საქართველოს პარლამენტის

საორგანიზაციო დეპარტამენტს

გეგზავნებათ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დასკვნა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის - **გიორგი გახარიას** მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და თანდართულ **„სამთავრობო პროგრამაზე - 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“** (N07-2/7; 18.12.2020).

კომიტეტის თავმჯდომარე
დავით სონღულაშვილი

2-472/20'
21-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
დარგობრივი ეკონომიკისა
და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის - **გიორგი გახარიას** მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და თანდართული **„სამთავრობო პროგრამა - 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“** (N07-2/7; 18.12.2020).

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის - **გიორგი გახარიას** მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და თანდართული **„სამთავრობო პროგრამა - 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისათვის“.**

კომიტეტმა, სამთავრობო პროგრამის გათვალისწინებით, ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის წარმოდგენილი შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადებას.

კომიტეტის თავმჯდომარე
დავით სონღულაშვილი

2-486/20'
21-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით დასკვნას საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის და სამთავრობო პროგრამისათვის - "ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" (07-2/7/10; 18.12.2020) ნდობის გამოცხადების თაობაზე.

დანართი 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
გივი ჭიჭინაძე

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის და სამთავრობო პროგრამისათვის - "ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" (07-2/7/10; 18.12.2020) ნდობის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, კომიტეტის სხდომაზე, განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის და სამთავრობო პროგრამისათვის - "ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის" (07-2/7/10; 18.12.2020) ნდობის გამოცხადების საკითხი.

სხდომაზე წარმოდგენილი იქნა მთავრობის წევრთა კანდიდატურები და სამთავრობო პროგრამა.

საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა დავით ზალკალიანმა, კომიტეტს გააცნო მთავრობის წევრთა კანდიდატურები, სამთავრობო პროგრამა, მთავრობის სამუშაო გეგმები, პრიორიტეტები, სამომავლო საქმიანობის პრინციპები, მიზნები და ხედვები. მათ შორის, დეტალურად ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტზე - ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის განვითარების ხელშეწყობის საჭიროებაზე. აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია დიასპორასთან ისეთი მდგრადი კავშირის განვითარება, რომელიც თანამემამულეებისათვის სახელმწიფოს შესაძლებლობებზე ფართო წვდომას, საქართველოსათვის კი სახელმწიფო ინტერესების ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს.

მისასალმებელია, რომ მთავრობა ხელს შეუწყობს თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების საერთო ინტერესების განხორციელებას, ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას, სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და თანამემამულეთა ადგილსამყოფელ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით: გაფართოვდება საკონსულო საქმიანობის განხორციელების სამოქმედო არეალი; გაგრძელდება მუშაობა სათანადო სტანდარტების შესაბამისად საკონსულოების აღჭურვის, კვალიფიციური საკონსულო მომსახურების და ოპერატიული საკონსულო დაცვის უზრუნველსაყოფად; საზღვარგარეთ კრიზისული და საგანგებო სიტუაციებისას უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეების სწრაფად და ეფექტიანად დაცვის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების დანერგვის კუთხით.

მნიშვნელოვანი იქნება, დიასპორასთან ურთიერთობის სისტემური მიდგომის დანერგვისა და დიასპორული ინიციატივების წახალისების მიზნით, სხვადასხვა საგრანტო პროგრამისა და პროექტების გაგრძელება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უკვე დანერგილი პროექტების განხორციელებას, ასევე გაგრძელდება ძალისხმევა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთათვის ახალი კულტურული და საგანმანათლებლო კერების დაფუძნებისა და განვითარების მიზნით.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტმა, ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით, ნდობა გამოუცხადა საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას.

გივი ჭიჭინაძე

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

2-590/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისთვის და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების თაობაზე (07-2/7; 18.12.2020)

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა 2020 წლის 21 დეკემბერს განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და 2021–2024 წლების სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

განხილვის ფარგლებში კომიტეტმა მოუსმინა საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატს ბატონ დავით ზალკალიანს. მინისტრობის კანდიდატმა კომიტეტს გააცნო მთავრობის საგარეო პოლიტიკის ხედვები და პრიორიტეტები.

სამთავრობო პროგრამის მიხედვით მთავრობის ძირითად სტრატეგიულ ამოცანას 2024 წელს ევროკავშირის წევრობისთვის ოფიციალური განაცხადის გაკეთებისთვის მომზადება წარმოადგენს.

სამთავრობო პროგრამა ხაზს უსვამს ევროკავშირთან თანამშრომლობის არსებული მექანიზმების, ასევე, ასოცირების შესახებ შეთანხმების მიღმა არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას.

პრიორიტეტად რჩება ევროკავშირთან მიმართებით საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის კიდევ უფრო გამყარება და იმ კომპონენტიდან ურთიერთსარგებლის მიღება, რომელიც ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობასა და ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში ჩართულობას უკავშირდება.

მისასალმებელია, რომ ევროკავშირთან ურთიერთობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროპის ერთიან ბაზარში ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობას, ევროკავშირის პროგრამებში ჩართულობასა და სპეციალიზებულ სააგენტოებთან თანამშრომლობას, ასევე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (EaP) ფარგლებში ახალი შესაძლებლობების გამონახვას და მათ ეფექტიან განხორციელებას. მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით, ევროკავშირის ასოცირებულ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება ევროინტეგრაციის საკითხებზე, მაქსიმალური კოორდინაციის უზრუნველყოფითა და ერთიანი პოზიციების შემუშავებით.

კომიტეტი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამა პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს და თანმიმდევრულია საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.

სხდომაზე კითხვა-პასუხის რეჟიმში კომიტეტის წევრებისა და მომხსენებლის მხრიდან ყურადღება გამახვილდა ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციაზე, ასოცირების შეთანხმების ახალი დღის წესრიგის შემუშავებაზე, საერთაშორისო მხარდაჭერაზე, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებთან გამოცდილების მიზნით თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომიტეტმა, ხმების უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, მხარი დაუჭირა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობას და 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამას "ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის".

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
მაკა ბოჭორიშვილი

2-596/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დასკვნა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ თაობაზე. (07-2/7; 18.12.2020)

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა 22 დეკემბერს სხდომაზე, განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

სამთავრობო პროგრამა 2021-2024 წლებისათვის ითვალისწინებს ოთხ ძირითად მიმართულებას, კერძოდ: საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური განვითარება, სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება და სახელმწიფო მმართველობა.

- **საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები.**

უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

რეგიონში განვითარებული ახალი გამოწვევებისა და საფრთხეების საპასუხოდ მნიშვნელოვანია, როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატის ეფექტური გამოყენება, ასევე ძლიერი დასავლური წარმომადგენლობით შესაბამისი მოლაპარაკებების ფორმატების ინიცირება და მხარდაჭერა.

2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულებისა და დეოკუპაციის მიმართულებით მუშაობა წარიმართება როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის არგამოყენების ვალდებულების დადასტურების და შესრულების, ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსული ძალის გაყვანის, ასევე ადგილზე საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ამ პროცესში საერთაშორისო ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის გამოყენებით კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ერთ-ერთი სამოქმედო პრიორიტეტული მიმართულებაა საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს შორის ნდობის აღდგენა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის განვითარება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას, ქმედითი ნაბიჯების გადადგმას იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის.

საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით აქტიურად გაგრძელდება ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და შეთანხმებით განსაზღვრული შესაძლებლობების გამოყენება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით. გაღრმავდება ევროკავშირთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა. ევროკავშირთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის კიდევ უფრო გამყარებას და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (EaP) ფარგლებში ახალი შესაძლებლობების გაჩენას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება წარმოადგენს. ამ მიზნით გაგრძელდება ალიანსში ინტეგრაციის ძირითადი ინსტრუმენტების (ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტი (SNGP), წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს კომისია) ეფექტური გამოყენება. ამასთანავე, განხორციელდება შავი ზღვის უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის ინიცირება.

ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობის შემდგომი გარღმავების მიზნით გააქტიურდება ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიც არის: უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ქვეყნის დეოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

ამასთანავე, გაგრძელდება მუშაობა სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული ყველა ძირითადი მიმართულებით.

- **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება**

არსებული უსაფრთხოების გარემოსა და საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გაგრძელდება ტოტალური თავდაცვის ელემენტების შემდგომი დანერგვა. თავდაცვის ძალების გაძლიერებასთან ერთად, განხორციელდება საჰაერო, თავდაცვითი, ჯავშანსაწინააღმდეგო, საარტილერიო, სადაზვერვო (ISTAR) და საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება. გაგრძელდება ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა. ამასთანავე, უზრუნველყოფილი იქნება თავდაცვის ძალების მზადყოფნა ქვეყნის შიგნით სტიქიური და ტექნოგენური კრიზისების დროს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერისათვის.

გაიზრდება თავდაცვის ძალების, თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა სამედიცინო უზრუნველყოფის შესაძლებლობები. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის და რესოციალიზაციის ღონისძიებებს. გაგრძელდება ბინათმშენებლობის თანადაფინანსებისა და სხვა სოციალური პროექტები.

გაგრძელდება თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მდგრადი საბრძოლო მზადყოფნისა და ტერიტორიული თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით. აშშ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაა (GDRP), რომელიც წვრთნისა და ინსტიტუციური განვითარების კომპონენტებს მოიცავს.

პარტნიორების მხარდაჭერით გაგრძელდება საბრძოლო მოდელირებისა და სიმულაციის შესაძლებლობების განვითარება, ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის (JTEC) ფარგლებში.

განხორციელდება საერთო საჯარისო ცენტრის რეფორმა. რომელიც ეროვნული სასწავლო ცენტრის კრწანისის ბაზაზე შეიქმნა 2016 წელს და მისი შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის ძალებში მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების ინსტიტუციონალიზაციისათვის. საქართველოს თავდაცვის ძალები დაიყოფა სახმელეთო, შეიარაღებული და მექანიზებული, ლოგისტიკის, სამედიცინო, ავიაციის, საჰაერო თავდაცვის, დაზვერვის, საინჟინრო, ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური, კავშირგაბმულობისა და არტილერიის სკოლებად.

შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში ყურადღება გამახვილდება საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის შემდგომ განვითარებაზე და მორგებული იქნება ამოცანით მართვის მოთხოვნებთან. განხორციელდება სპეციალური ოპერაციების ძალების სტრუქტურული და ფუნქციური რეფორმირება. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საჰაერო თავდაცვის, ჯავშანსაწინააღმდეგო და საინჟინრო შესაძლებლობების, ჰიბრიდული ხასიათის გამოწვევებთან გამკლავების ძირითადი ელემენტების, მათ შორის, დაზვერვისა და კიბერთავდაცვითი საშუალებების გაძლიერებას.

ეფექტიანობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია რეზერვისა და მობილიზაციის გაუმჯობესებული სისტემის შემუშავება.

განხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ შესაძლებლობების განვითარება. სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება იქნება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შექმნა და სერიული წარმოება.

ნატოსთან თავსებადობის მაღალი ხარისხის მისაღწევად დიდი ყურადღება დაეთმობა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) განსაზღვრული ინიციატივების ეფექტიანად შესრულებას.

გაძლიერდება თანამშრომლობა ევროკავშირთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. 2020 წელს გაკეთდება ფორმალური განაცხადი ევროპული თავდაცვის სააგენტოსთან (EDA) თანამშრომლობის დაწყების შესახებ. ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინიტრო მზად იქნება ევროკავშირის მუდმივი სტრუქტურირებული თანამშრომლობის (PESCO) კონკრეტულ პროექტებში მიიღოს მონაწილეობა.

- **უსაფრთხოება და მართლწესრიგი**

ეროვნული უსაფრთხოების სფეროში განახლდება ორი ძირითადი კონცეპტუალური დოკუმენტი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და საფრთხეების შეფასების დოკუმენტი.

კიბერუსაფრთხოების სფეროში, განხორციელდება კონცეპტუალური სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება.

დაიწყება მუშაობა ჰიბრიდულ საფრთხეებთან წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით.

ამასთანავე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგრძელდება:

ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორცილების უზრუნველყოფის მიზნით უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის სფეროში დაწყებული რეფორმები;

„სისტემური განახლების“ კონცეფციის შესაბამისად სამინისტროს შემდგომი განვითარება, რაც მოიცავს როგორც სტრუქტურულ, ისე შინაარსობრივ ცვლილებებს და საკანონმდებლო ინიციატივებს;

კრიმინალური პოლიციის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც დასრულდება მთელი ქვეყნის მასშტაბით საგამოძიებო, ოპერატიული და საუბნო მიმართულებების მკაფიოდ გამოჯვნა;

საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერება და გამოძიების ხარისხის გაზრდა, საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნა;

სასაზღვრო პოლიციის რეფორმა, ნატოსთან აქტიური თანამშრომლობით საზღვრის მართვის რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და მისი ინტეგრირება შესაბამის ანალიტიკურ სისტემაში;

საპატრულო პოლიციის რეფორმა. საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის კონცეფცია დაინერგება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ახალი საპოლიციო ციფრული პროდუქტის შექმნა, მათ შორის ანონიმური შეტყობინების პლატფორმა, საზღვრის კვეთის ელექტრონული სისტემა, მოქალაქეებთან უკუკავშირის სისტემა და სხვა.

სამინისტროს მნიშვნელოვან პრიორიტეტად დარჩება ორგანიზებულ და ნარკოდანაშაულთან ბრძოლა.

საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებით ეფექტიანობის გაზრდის მიზნით განვითარდება საოპერაციო შესაძლებლობები. განხორციელდება ინფრასტრუქ-ტურის სრული მოდერნიზაცია.

დაინერგება დისტანციურად მომსახურების სერვისები როგორიც არის სატრანსპორტო საშუალებების დისტანციურად რეგისტრაცია/გადაფორმება.

საქართველოს პარლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტმა დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ წარმოდგენილი ხედვა, განსახორციელებელი გეგმები, ღონის-ძიებები და ინიციატივები, ძალიან მნიშვნელოვანია, მიმართულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისკენ და ემსახურება დეოკუპაციას და ქვეყნის გამთლიანებას, ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევას, ეკონომიკის სწრაფ აღდგენას და განვითარებას, ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და თითოეული მოქალაქისთვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

კომიტეტი გაეცნო მინისტრობის კანდიდატების ბიოგრაფიულ მონაცემებს და მათ ხედვებს, მოისმინა მინისტრობის კანდიდატების პასუხები კომიტეტის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე და მიაჩნია, რომ მინისტრობის კანდიდატების მიერ სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები ეფექტიანად იქნება შესრულებული.

კომიტეტმა, სამთავრობო პროგრამის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით, მხარი დაუჭირა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს მთავრობის წარმოდგენილი შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადებას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ბერაია

2-598/20'
23-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხისა და სამთავრობო პროგრამის 2021–2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ შესახებ (N07-2/7; 18.12.2020)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2020 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის შესაბამისად, დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით, განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი და სამთავრობო პროგრამა 2021–2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (N07-2/7; 18.12.2020).

I. სამთავრობო პროგრამის ძირითადი პრინციპები

წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამა ეფუძნება იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც ემსახურება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულ ინტეგრაციას.

სამთავრობო პროგრამის მიხედვით, ქვეყნის შემდგომი წლების ძირითადი ამოცანაა ინსტიტუციური, ეკონომიკური და სოციალური მომზადება 2024 წელს ევროკავშირის წევრობის განაცხადის გასაკეთებლად.

სამთავრობო პროგრამა 2021–2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, შემდეგი მიმართულებებით:

1. უსაფრთხოება და მართლწესრიგის დაცვა

ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს არსებობისა და მართლწესრიგის დაცვისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი, ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება და სასჯელის გარდაუვალობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით აუცილებელია უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში დაწყებული რეფორმების გაგრძელება და საქმიანობის ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება. გაგრძელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს, როგორც სტრუქტურულ, ისე შინაარსობრივ ცვლილებებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს, კერძოდ:

- გაგრძელდება კრიმინალური პოლიციის რეფორმა და მის ფარგლებში დასრულდება მთელი საქართველოს მასშტაბით საგამოძიებო, ოპერატიული და საუბნო მიმართულებების მკაფიოდ გამიჯვნა;
- გაგრძელდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით;
- განვითარდება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი ამოცანა დანაშაულის პრევენციაა;
- დაიხვეწება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა;
- გაძლიერდება საგამოძიებო კომპონენტი და გაიზრდება გამოძიების ხარისხი;
- ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, მომზადდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებათა პროექტი, რაც საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნას, გამომძიებლის დამოუკიდებლობისა და მისი პასუხისმგებლობის გაზრდას უზრუნველყოფს;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიმუშავებს წლების მიხედვით გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს ახალი კადრების მოზიდვას, სამსახურში მიღების წესის ცვლილებას, მოქმედი გამომძიებლების სისტემურ გადამზადებასა და საქმიანობის ხარისხის ამაღლებისკენ მიმართულ სხვა ღონისძიებებს;
- ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და არასრულწლოვანთა მიმართ სპეციალური მიდგომების დანერგვის მიზნით;
- გაგრძელდება სასაზღვრო პოლიციის რეფორმა, ადამიანური რესურსების, სასაზღვრო ინფრასტრუქტურისა და საზღვარზე დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებების განვითარება, ნატოსთან აქტიური თანამშრომლობა;
- გაგრძელდება საპატრულო პოლიციის რეფორმა, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს, გაზრდის საპოლიციო სერვისებზე ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას;
- დაინერგება დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული მიდგომები, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი. ამ მიზნით გაგრძელდება საპოლიციო დანაყოფებში ანალიტიკოსთა ქსელის ჩამოყალიბება მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- გაღრმავდება თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან;

- უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ გაძლიერდება მიგრაციული ნაკადებისა და საზღვრის ეფექტიანი მართვა, რეადმისიის ხელშეკრულების აღსრულება;
- გაგრძელდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება, მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების სფეროში;
- საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებით ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, განვითარდება საოპერაციო შესაძლებლობები/რესურსები, ამაღლდება მზადყოფნის დონე და გაიზრდება რეაგირების ხარისხი;
- გაგრძელდება ახალი საპოლიციო ციფრული პროდუქტების, მათ შორის, ანონიმური შეტყობინებების პლატფორმის, საზღვრის კვეთის ელექტრონული სისტემის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საინფორმაციო პლატფორმის, მოქალაქეებთან უკუკავშირის სისტემის, განვითარება;
- გაგრძელდება პოლიციის შენობების განახლება/რეაბილიტაცია და ახალი ობიექტების მშენებლობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით მათი უზრუნველყოფა, დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის განახლება, ახალი იზოლატორების მშენებლობა, მოძველებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების ახლით ჩანაცვლება, სამედიცინო პუნქტების ფორმირება, იზოლატორების ახალი ინვენტარით აღჭურვა;
- დაინერგება დისტანციური მომსახურების სერვისები, როგორიც არის სატრანსპორტო საშუალების დისტანციურად რეგისტრაცია/გადაფორმება;
- მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტით მოპოვების მიზნით, განვითარდება საექსპერტო-კრიმინალისტიკური შესაძლებლობები;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კიბერუსაფრთხოების საკითხებს;
- გაგრძელდება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერება, რომლის მიზანია დანაშაულის მსხვერპლისა და მოწმის მხარდაჭერა და მათი დაცვა ხელახალი და განმეორებითი ვიქტიმიზაციისაგან.

2. პენიტენციური სისტემა

სამთავრობო პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია პენიტენციური სისტემის განვითარების პრიორიტეტულობაზე, მის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. სამთავრობო პროგრამაში აღნიშნულია, რომ:

- გაგრძელდება ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება;
- შეიქმნება საოჯახო ტიპის პენიტენციური დაწესებულებები;
- გაძლიერდება რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამები;
- გაუმჯობესდება მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრებისთვის დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობები;

- დაინერგება მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა ინდივიდუალური შეფასების მეთოდოლოგიები;
- მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები;
- პირთა პენიტენციური დაწესებულებებიდან/პრობაციიდან საზოგადოებაში დაბრუნების ხელშესაწყობად დაინერგება გათავისუფლებისთვის მომზადების პოლიტიკა;
- გაუმჯობესდება პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მიწოდება;
- გაგრძელდება პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბენეფიციარებისთვის, თანამშრომლებისა და სტუმრებისთვის უსაფრთხოებისა და სხვა პირობების გაუმჯობესება;
- გაგრძელდება აქტიური მუშაობა აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკისა და პროგრამების განვითარების, მათ შორის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მედიაციის საპილოტე პროგრამების დანერგვის, კუთხით.

3. ადამიანის უფლებების დაცვა

სამთავრობო პროგრამის მიხედვით, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომების ინტეგრირება მთავრობის პრიორიტეტად რჩება, რისთვისაც გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

- დამტკიცდება და განხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის გრძელვადიან პრიორიტეტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში;
- განხორციელდება ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად, უზრუნველყოფილ იქნება სწრაფი და ქმედითი რეაგირება გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობის თითოეულ ფაქტზე;
- გაგრძელდება კოორდინირებული მუშაობა ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით;
- მთავრობა აქტიურად გააგრძელებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის იმპლემენტაციას;
- მთავრობა აქტიურად გააგრძელებს ხანდაზმული ადამიანების ეკონომიკურ მხარდაჭერასა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას;
- გამოიყოფა დამატებითი რესურსი სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდის, მათი კვალიფიკაციის განგრძობადი გაუმჯობესების, სპეციალიზაციისა და შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკას, მიღებულ იქნება და განხორციელდება ახალი სტრატეგია 2021–2026 წლებისათვის;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვას;

- შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების სფეროში გაგრძელდება მუშაობა საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და პრაქტიკაში სრულყოფილი დანერგვის მიმართულებით;
- მიღებულ იქნება აღსრულების ახალი კოდექსი, რომლითაც შეიქმნება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სააღსრულებო წარმოების საკანონმდებლო გარანტიები;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაიხვეწება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ნორმები;
- გაგრძელდება აქტიური მუშაობა საერთაშორისო სასამართლოებში საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დასაცავად.

4. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება

ქვეყნის ოკუპაციის, მზარდი შიდა და გარე საფრთხეების გათვალისწინებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების აუცილებლობიდან გამომდინარე, სამთავრობო პროგრამის თანახმად:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში გაგრძელდება ტოტალური თავდაცვის ელემენტების შემდგომი დანერგვა და მისი სამხედრო კომპონენტის განვითარება, რომელიც ხუთ ძირითად პრიორიტეტს ეფუძნება: საჰაერო თავდაცვითი, ჯავშანსაწინააღმდეგო, საარტილერიო, სადაზვერვო (ISTAR) და საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება;
- გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს მდგრადი საბრძოლო მზადყოფნისა და ტერიტორიული თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით;
- თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს საბრძოლო მოდელირებისა და სიმულაციის შესაძლებლობების განვითარებას. 2024 წლისთვის აღნიშული შესაძლებლობები გაძლიერდება ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის (JTEC) ფარგლებში;
- თავდაცვის სამინისტრო განახორციელებს საერთო საჯარისო ცენტრის რეფორმას, გვარეობების გამოცდილების გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით;
- დაბალანსებული და მდგრადი ძალების ჩამოყალიბების კუთხით შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში ყურადღება გამახვილდება საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის შემდგომ განვითარებაზე;
- გაგრძელდება, როგორც სამხედრო-სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება, ისე თავდაცვის ძალების, თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სამედიცინო მომსახურების/რეაბილიტაციის ეფექტიანობის ამაღლება და დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებები; მოსამსახურეებისთვის გაგრძელდება ბინათმშენებლობის თანადაფინანსება და სხვა სოციალური პროექტები;

- თავდაცვის სამინისტრო შეიმუშავებს რეზერვისა და მობილიზაციის გაუმჯობესებულ სისტემას;
- სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იქნება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შექმნა და სერიული წარმოება;
- განხორციელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) განსაზღვრული ინიციატივები;
- მიმდინარე წლების განმავლობაში, ევროპულ თავდაცვის სააგენტოსთან (EDA) თანამშრომლობის დაწყების შესახებ ფორმალური განაცხადი გაკეთდება.

5. შერიგება და სამოქალაქო თანასწორობა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და მათი შთამომავლების ღირსეული, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის ძალისხმევის გააქტიურებას;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებისთვის საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული სიკეთეებისა და სერვისების გაზიარებას;
- საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ეფექტიან განხორციელებას; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გაყოფილ საზოგადოებებს შორის პირდაპირი დიალოგისა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის განვითარებას; გაგრძელდება აქტიური მუშაობა საერთაშორისო მხარდაჭერის შემდგომი მობილიზებისთვის.

II. კომიტეტის შეფასება

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი დადებითად აფასებს წარმოდგენილ მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას. კომიტეტს მიაჩნია, რომ სამთავრობო პროგრამა ემსახურება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გაძლიერების, ქვეყნის შემდგომი ეკონომიკურ განვითარების, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყნის დეოკუპაციისთვის შემდგომი ქმედითი ნაბიჯების გადადგმის, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში სრული ინტეგრაციის მიზნებს.

კომიტეტი გაეცნო ასევე მთავრობის წევრობის შესაბამის კანდიდატთა ხედვებს და მიიჩნია, რომ ისინი ჯეროვნად შეასრულებენ სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ ამოცანებს.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამის გათვალისწინებით მხარი დაუჭირა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს (N07-2/7; 18.12.2020).

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

2-461/20'
21-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის მისაღებად წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და „სამთავრობო პროგრამაზე 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (№07-2/7, 18.12.2020).

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 21 დეკემბრის კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და „სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

კომიტეტმა ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომიტეტის წევრთა ხმების უმრავლესობით, (დამსწრე - კომიტეტის 10 წევრი, მომხრე - 10, მოწინააღმდეგე - 0) ნდობა გამოუცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
სოზარ სუბარი

2-581/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

გიგზავნით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნას საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისთვის წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამაზე 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (№07-2/7; 18.12.2020).

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი კოვზანაძე

2-578/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2020 წლის 21 დეკემბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისთვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და „სამთავრობო პროგრამა 2021-2024“ „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (№07-2/7; 18.12.2020).

ეკონომიკური პროფილის მინისტრებისა და სამთავრობო პროგრამის განხილვის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგებიდან გამომდინარე (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომიტეტის 8 წევრმა: 8 მომხრე) საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მხარი დაუჭირა მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი კოვზანაძე

2-595/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო

საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 160-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 22 დეკემბერს, კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამა და საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი.

კომიტეტმა ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მხარი დაუჭირა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ქადაგიშვილი

2-489/20'
21-12-2020

საორგანიზაციო დეპარტამენტს

ქალბატონო ეთერ,

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა, და „სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (07-2/7; 18.12.2020).

გიგზავნით კომიტეტის დასკვნას აღნიშნულთან დაკავშირებით.

დანართი: 1 გვერდი

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნიკოლოზ სამხარაძე

2-487/20'
21-12-2020

პარლამენტის ბიუროს

დასკვნა
საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა, და „სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ განხილვის თაობაზე (07-2/7; 18.12.2020)

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ ნდობის გამოცხადებისათვის წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა, და „სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (07-2/7; 18.12.2020) და მხარი დაუჭირა მათ.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნიკოლოზ სამხარაძე

2-563/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ ნდობის მისაღებად წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამაზე -2021-2024 ,,ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ – (N07-2/7/10; 18.12.2020)

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა 2020 წლის 22 დეკემბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა - 2021-2024 ,,ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

კომიტეტი, ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, დამსწრე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ნდობას უცხადებს და მხარს უჭერს საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ ნდობის მისაღებად წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას - 2021-2024 ,,ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ვიქტორ სანიკიძე

2-553/20'
22-12-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დასკვნა

საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის გიორგი გახარიას მიერ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებისა და სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (07-2/7; 18.12.2020) თაობაზე

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2020 წლის 22 დეკემბერს სხდომაზე განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

კომიტეტი მხარს უჭერს წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
დიმიტრი ხუნდაძე